საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/04

ქ. ბათუმი 13 იანვარი, 2023 წელი

საგანმანათლებლო პროგრამის პორტფოლის ფორმირებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ **საქართველოს განათლებისა და მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების,** ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ **საქართველოს განათლებისა და მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანების,** „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს ელექტრონული სერვისების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 7 სექტემბრის N01-02/154 ბრძანების,** ბსუ აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის № 06-01/54 დადგენილებით დამტკიცებული **„ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის“** საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განვითარების პროცესის ადმინისტრირებისათვის, „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის“ მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის პორტფოლის ფორმირების ორგანიზებულად წარმართვის მიზნით დაევალოთ:

1.1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ხელმძღვანელებს:

ა) „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის“ მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის ,,ა) - ო)“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციის და დოკუმენტების (როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით) მოძიება, დამუშავება/შექმნა/შედგენა, სისტემატიზირება და ბსუ-ს პორტალის -portal.bsu.edu.ge შესაბამის ველში ატვირთვა, **მიმდინარე წლის 25 თებერვლამდე;**

ბ) ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით დამტკიცებული გეგმის შესაბამისად სამუშაოების წარმართვა;

1.2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებს:

ა) ხარისხის კოორდინატორებთან ერთად უზრუნველყონ პროგრამის პორტფოლიოს ფორმირების პროცესის მხარდაჭერა (ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოძიებაში და დამუშავებაში);

ბ) ამ ბრძანების აღსრულების/შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი, კომპეტენციის ფარგლებში;
ე) არაუგვიანეს მიმდინარე წლის 5 თებერვლისა შესრულებული სამუშაოების შესახებ სამსახურებრივი ბარათის (შუალედური ანგარიშის) წარმოდგენა, ფაკულტეტის დეკანისა და ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ვიზირებით;
ვ) უზრუნველყონ საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების პორტფოლიოს, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით, შენახვა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და ელექტრონული ფაილების ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისათვის გადაცემა (სამსახურებრივი ელ.ფოსტის მეშვეობით გაგზავნა) და ამ დავალების შესრულების თაობაზე სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა, არაუგვიანეს მიმდინარე წლის 1 მარტისა;
1.3. **ფაკულტეტის დეკანებს** - თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის პორტფოლიოს ფორმირების **სამუშაოთა გეგმის** შედგენა და დამტკიცება, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსთან ერთად საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების პორტფოლიოს სრულყოფილად შევსების დადასტურება და შესაბამისი სამსახურებრივი ბარათის წარმოდგენა.
2. წინამდებარე ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი განახორციელონ კომპეტენციის ფარგლებში: რექტორის მოადგილემ (ა. ბერიძე), უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა (ვ. ღლონტი) და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (მ. დიასამიძე).
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს პორტალზე და ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს (ვ. ღლონტი), უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (მ. დიასამიძე), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**